ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2026 წლის გეგმის

6 თვის (იანვარი-ივნისი) მონიტორინგის ანგარიში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2026

სარჩევი

მოკლე შეჯამება 3
შესავალი 4
ზოგადი პროგრესი 5
აქტივობების განხორციელების დეტალური პროგრესი 7
გამოწვევები და რეკომენდაციები 8
კონსოლიდირებული სტატუსანგარიში 10

მოკლე შეჯამება

2026 წლის 29 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დამტკიცდა „ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2026 წლის სამოქმედო გეგმა“. გეგმა წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომლის მიზანია ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება.



2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 16% (3 აქტივობა), ნაწილობრივ შესრულდა აქტივობათა 16% (3 აქტივობა), მეტწილად შესრულდა აქტივობათა 21% (4 აქტივობა), არ დაწყებულა აქტივობათა 47% (9 აქტივობა). საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 32%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება, კერძოდ საანგარიშო პერიოდში სოფელ თაზაქენდში განთავსდა ავტომატური მონიტორინგის სადგური და გრავიმეტრიული ხელსაწყო. საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში რეგურალურად მიმდინარეობდა არსებული საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობა, ჩატარდა 120 ობიექტის 149 ინსპექტირება, მათ შორის 8 ობიექტის კომპლექსური შემოწმება. აგრეთვე, თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართული 19 კომპანიიდან 14 კომპანიის მხრიდან გამოვლინდა ჰაერდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა და გატარებულ იქნა შესაბამისი ზომები.

საანგარიშო პერიოდში დაწესდა სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად. ასევე, ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესების

დადგენისა და აღსრულების ვალდებულება საკანონდებლო დონეზე გავრცელდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტზე, მათ შორის ქ. რუსთავზე, რომელიც ძალაში შედის 2026 წლის 1 ოქტომბრიდან. 2026 წლის მარტიდან რეგულარულად მიმდინარეობდა სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 22 ქუჩაზე, სულ დამუშავდა ქუჩები 2250 კმ სიგრძეზე.

გამოწვევას წარმოადგენს ქ. რუსთავში საწარმოების მხრიდან გაფრქვევების თვითმონიტორინგის ვალდებულებების შეუსრულებლობა და ზღვრულად დასაშვები ნორმების გადაჭარბება. ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას ასევე წარმოადგენს ამტვერებადი სამშენებლო მასალების ღიად დასაწყობებისა და შეფუთვის გარეშე ტრანსპორტირება/რეალიზაციის პრაქტიკა.

შესავალი

2026 წლის 29 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დამტკიცებული ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2026 წლის სამოქმედო გეგმა სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და ძირითადი დამაბინძურებლების დონეების ნორმის ფარგლებში შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ზონებისა და აგლომერაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს №2-1293 ბრძანების მიხედვით, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი ცენტრალურ ზონაში შემავალი ერთეულია, თუმცა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2026 წლის გეგმა წარმოადგენს 1 წლიან გარდამავალ სამოქმედო გეგმას, რომლის აქტივობების განხორციელება გაგრძელდება ცენტრალური ზონის ატმოსფეული ჰაერის ხარისხის მართვის 2027-2029 წლების გეგმის ფარგლებში.

გეგმის მიზანია ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, გეგმა აერთიანებს 19 აქტივობას. გეგმის აქტივობების განხორციელებას უზრუნველყოფს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები.

გეგმის განხორციელებას კოორდინაციას უწევს სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველო (შემდგომში - გეგმის სამდივნო). აღნიშნული მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2026 წლის 1 იანვრიდან - 2026 წლის 30 ივნისამდე პერიოდში. მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა გეგმის სამდივნოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ პროგრეს ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა გეგმის აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან.

ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გეგმა მიზნად ისახავს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი აზოტის დიოქსიდისა და უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM_{10}, $PM_{2.5}$) კონცენტრაციის შემცირებას.

2026 წლის იანვარი-ივნისი საანგარიშო პერიოდში, სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 19 აქტივობიდან მიმდინარეობდა 10 აქტივობის განხორციელება. 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 16% (3 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 21% (4 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 16% (3 აქტივობა). არ დაწყებულა 9 აქტივობის განხორციელება (47%). საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 32%.



განმახორციელებელი უწყებების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს აქტივობათა განხორციელების 67%-ით, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სოფელ თაზაქენდში გაიხსნა ავტომატური მოიტორინგის სადგური და დამონტაჟდა გრავიმეტრიული ხელსაწყოები. საანგარიშო პერიოდისთვის ასევე მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების ჭრილში, კერძოდ, დაწესდა სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.

უნდა აღინიშნოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აქტივობათა განხორციელების პროგრესი (42%), საანგარიშო პერიოდში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართული 19 კომპანიიდან 14 კომპანიის მიმართ გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები, ასევე 2026 წლის 6 თვეში განხორციელდა 120 ობიექტის 149 ინსპექტირება, მათ შორის, 8 ობიექტის გეგმიური (კომპლექსური) შემოწმება.





საანგარიშო პერიოდში რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აქტივობათა განხორციელების პროგრესმა შეადგინა 21%, ხოლო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობების განხორციელების დეტალური პროგრესი

გეგმის ფარგლებში არსებული 19 აქტივობიდან საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა 10 აქტივობის განხორციელება, ხოლო 9 აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა. სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესმა შეადგინა 32%, სამოქმედო გეგმის აქტივობების განსახორციელებლად გათვლილი 4 300 737 მლნ ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 1 139 798 მლნ ლარი, ხოლო აქტივობების ნაწილი შესრულდა საბიუჯეტო დაფინანსებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს შორისაა აქტივობები, რომლებიც მიმართულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისაკენ. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 14 ივლისის №324 დადგენილებით შევიდა ცვლილებები „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულოდ შესასრულებელ მოთხოვნებს მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მსხვრევა ან/და დახარისხება) საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად. ასევე საანგარიშო პერიოდში შემუშავდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სანქციების დაწესებას მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საქმიანობისთვის N17 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისა და შესაბამისი გაფრქვევის ნორმების გადაჭარბებისთვის.

აღსანიშნავია ასევე 2026 წლის 28 აპრილის N1523-Vმს-Xiმპ მიღებული კანონი, რომელიც 2026 წლის 1 ოქტომბრიდან ითვალისწინებს მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ქ. რუსთავში და შესაბამის სასანქციო მექანიზმებს წესების დარღვევისთვის.

ამტვერებადი მასალებისა და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებზე ზედამხედველობის აღსრულების კუთხით 2026 წლის იანვარი-ივნისის განმავლობაში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართული 19 კომპანიიდან 14 კომპანიის მიმართ გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები, მათ შორის გამოვლენილია გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის 14 შემთხვევა, მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილი ნორმის გადამეტების 17 შემთხვევა და ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევის 3 შემთხვევა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2026 წლის პირველ 6 თვეში განხორციელდა 120 ობიექტის 149 ინსპექტირება, მათ შორის, 8 ობიექტის გეგმიური, კომპლექსური შემოწმება.

ქ. რუსთავის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ ქალაქის მასშტაბით კვლავ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება და გაფრთხილება გამოუცხადა ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომლებიც აწარმოებენ ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირებას და

ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებას. მტვრის ემისიების პრევენციის მიზნით 2026 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 22 ქუჩაზე (ჯამში 2250 კმ-ზე) რეგულარულად მიმდინარეობდა სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი. საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში დაიწყო ტროტუარების განახლებისთვის და ველობილიკების მოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების კუთხით აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავის მიმდებარე სოფელ თაზაქენდში განთავსდა ავტომატური მონიტორინგის სადგური, რომელშიც დამონტაჟებულია გრავიმეტრიული ხელსაწყო. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში აქტივობა 16 და 17 სრულად განხორციელდა.

<u>რისკები:</u>

აღნიშნული სამოქმედო გეგმის რისკებს წარმოადგენს აქტივობათა განხორციელების შედარებით დაბალი პროგრესი, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების საანგარიშო პერიოდში ჯერ არ დაწყებულა 9 აქტივობის განხორციელება, ამ კუთხით მნიშვნელოვანია მეტი ძალისხმევა პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან აქტივობათა განხორციელებისაკენ, რათა დროულად და ეფექტურად იქნას შესრულებული დაგეგმილი ღონისძიებები.

<u>შემდეგი ნაბიჯები:</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ქ. რუსთავის 2026 წლის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა წარმოადგენს გარდამავალ სამოქმედო გეგმას, და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის - ცენტრალური ზონის ერთეულს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქმედო გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელება გაგრძელდება ცენტრალური ზონის 2027-2029 წლების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებშიც.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში მრავალი გამოწვევა იკვეთება. სამოქმედო გეგმის შუალედური შედეგების გაანალიზებამ ცხადყო, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამრეწველო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება, რაც წარმოადგენს ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკების ძირითად ანთროპოგენულ წყაროს. ამ მხრივ აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება, ზედამხედველობის გააქტიურება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება, განსაკუთრებით საწარმოო ტერიტორიებზე ამტვერებადი ნედლეულის, საწარმოო პროდუქტებისა და ნარჩენების ღია წესით დასაწყობების კონტროლის და ჰაერში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისა და ზღვრულად დასაშვები ნორმების გადაჭარბების მიმართულებით. ამ კუთხით, დამატებით

რეკომენდირებულია საზედამხედველო უწყებების ადამიანური შესაძლებლობის გაძლიერება.

მნიშვნელოვანია, რომ მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ქ. რუსთავში უწყვეტად განხორციელდეს ქუჩების სველი წესით დასუფთავება, გაიზარდოს დასუფთავებული ქუჩების რაოდენობა და გამოიყოს დამატებითი სპეციალური ტექნიკა.

ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების წახალისებისა და ავტოტრანსპორტზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია ეფექტურად განხორციელდეს ინფრასტრუქტურული აქტივობები, გაუმჯობესდეს ტროტუარები და შეიქმნას ველობილიკების ქსელი.

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის და გრავიმეტრიული ხელსაწყოების ქსელის გაფართოების მიმართულებით პროგრესი თვალსაჩინოა, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებული აქტივობები საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა.

და ბოლოს, სამოქმედო გეგმის აღსრულების ნაწილში გამოწვევას წარმოადგენს იმ აქტივობების განხორციელების დროულად დაწყება, რომლებიც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა, გარდა ამისა მნიშვნელოვანია იმ აქტივობათა პრიორიტეტიზაცია, რომლებიც დაბალი პროგრესით მიმდინარეობს, რათა სამოქმედო გეგმის დასასრულისთვის ეფექტურად იქნას შესრულებული ყველა დაგეგმილი ღონისძიება.

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

#	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი		პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი	ბიუჯეტი 2026	ბიუჯეტის შესრულება 2026
1	საწარმოო ტერიტორიებზე ამტვერებადი ნედლეულის, საწარმოო პროდუქტების და ნარჩენების ღია წესით დასაწყობების აკრძალვა და შესაბამისი სანქციის დაწესება	1.1	საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია საწარმოო ტერიტორიებზე ამტვერებადი ნედლეულის, საწარმოო პროდუქტებისა და ნარჩენების ღია წესით დასაწყობების აკრძალვისა და შესაბამისი სანქციის დაწესების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი
		1.2	შესაბამისი ვალდებულებები ასახულია განახლებულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებში								

2	ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით სავალდებულო ღონისძიებების დაწესება ინერტული მასალების მსხვრევისა და დახარისხების სექტორისთვის	**2.1**	დამტკიცებული ნორმატიული აქტი „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამანტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	განხორციელდა	100%	საქართველოს მთავრობის 2026 წლის 14 ივლისის №324 დადგენილებით შევიდა ცვლილებები „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულოდ შესასრულებელ მოთხოვნებს მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მსხვრევა ან/და დახარისხება) საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი
3	სანქციების გამკაცრება ჰაერში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისა და ზღვრულად დასაშვები	**3.1**	პარლამენტში ინიცირებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა	40%	შემუშავდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სანქციების გაზრდას სამრეწველო სექტორის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ნორმების		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი

	გაფრქვევის ნორმების გადაჭარბებისთვის							გადაჭარბებისთვის. ჩატარებული შიდა განხილვების შედეგად გადაწყდა არ განხორციელდეს სანქციების გაზრდა. ნაცვლად ამისა, მოხდეს სანქციების აღსრულების პროცესის გამარტივება. შესაბამისად, შემუშავებულ პროექტში დარჩა დებულებები, რომელიც ეხება სანქციების დაწესებას მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საქმიანობისთვის N17 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისა და შესაბამისი გაფრქვევის ნორმების გადაჭარბებისთვის.			
4	ჰაერში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულების შესრულებისა და შედეგების პროაქტიური მონიტორინგი	**4.1**	გამოვლენილია შესაბამისი კანონდარღვევები და განსაზღვრულია პასუხისმგებლობა	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხდეველობის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	50%	2026 წლის 6 თვეში გაფრქვევების ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართული 19 კომპანიიდან 14 კომპანიის მიმართ გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები, მათ შორის გამოვლენილია: - გაფრქვევების ფაქტობრივი		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი

								რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის - 14 შემთხვევა; - მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილი ნორმის გადამეტების - 17 შემთხვევა; - ელ.სისტემის წარმოების ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევის - 3 შემთხვევა.			
5	მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის გააქტიურება და შესაბამისი სასანქციო მექანიზმების გამოყენება	**5.1**	ჩატარებული სულ მცირე 70 ინსპექტირება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	57%	სამსახურმა ქალაქის მასშტაბით კვლავ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება და გაფრთხილება ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების, რომლებიც აწარმოებენ ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირებას, ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებას.ჩატარდა 40 ინსპექტირება.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი

6	ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დადგენა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	**6.1**	პარლამენტში ინიცირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50%	2026 წლის 28 აპრილის N1523-Vმს-Xiმპ კანონი, რომელიც 2026 წლის 1 ოქტომბრიდან ითვალისწინებს მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ქ. რუსთავში და შესაბამის სასანქციო მექანიზმებს წესების დარღვევისთვის.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი
		6.2	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილება								
7	ქ. რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოების ინსპექტირების, მათ შორის შემოწმებების რაოდენობის გაზრდა	**7.1**	ჩატარებული სულ მცირე 200 ინსპექტირება	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	75%	2026 წლის 6 თვეში განხორციელდა 120 ობიექტის 149 ინსპექტირება, მათ შორის, 8 ობიექტის (10 გარემოსდაცვით გადაწყვეტილების პირობების) გეგმიური (კომპლექსური) შემოწმება.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი

8	საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლის განხორციელება ქ. რუსთავსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში	**8.1**	აღებული საწვავის (ბენზინი, დიზელი) სულ მცირე 10 სინჯი და ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზი	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხდველობის დეპარტამენტი	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	2026 წლის 6 თვეში საავტომობილო საწვავის სინჯების აღება არ განხორციელებულა		20000	0
9	ქ. რუსთავში სველი წესით დასუფთავების შესაძლებლობის ა და მოცული ქუჩების სიგრძის გაზრდა	**9.1**	ქ. რუსთავში სველი წესით დასუფთავებული ქუჩები სულ მცირე 5 000 კმ სიგრძეზე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	23%	სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი 2026 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა რეგულარულად ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 22 ქუჩაზე. საანგარიშო პერიოდში ჯამში სველი წესით დამუშავდა 2250 კმ		590116	51533
		9.2	შემენილი დამატებით სულ მცირე 2 ერთეული ტექნიკა ქუჩების სველი წესით დასასუფთავებლად								
10	ფეხით გადაადგილების დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქ. რუსთავში	**10.1**	განახლებული ტროტუარი 17 312 მ² ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის II კვარტ.	არ დაწყებულა	0%	საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა ქ. რუსთავში ტროტუარების განახლება, ამჟამად მიმდინარეობს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, პროექტები დასრულდება მიმდინარე წელს.		1504304	556965
11	ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქ. რუსთავში	**11.1**	მოწყობილი ახალი ველობილიკები 1 891 მ² ფართობზე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	მიმდინარეობს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, პროექტები დასრულდება მიმდინარე წელს		140410	0
		11.2	მოწყობილი ველოსიპედის პარკირების სულ მცირე 3 ახალი პუნქტი								

12	ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქ. რუსთავში	**12.1**	დამატებით განთავსებული 5 დამტენი მოწყობილობა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	საანგარიშო პერიოდში დამატებით დამტენი მოწყობილობების განთავსება არ მომხდარა.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი
13	რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმის განხორციელების დაწყება	**13.1**	რუსთავის ჭალის ტყის ტერიტორიაზე დარგულია 10 000 ნერგი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	15%	პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით განხორციელდა ნერგების შესყიდვა, გაიწმინდა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, შემოიღობა ტყის ტერიტორია, მოეწყო საგუშაგო და თანამშრომელთა კოტეჯები, ასევე, შეიქმნა მოხალისეობრივი კამპანია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა და პროექტის მდგრადობა. სამომავლოდ დაგეგმილია ანტისეპტიკის სისტემისა და სარწყავი ქსელის მოწყობა, ვიდეოკამერების ქსელის დამონტაჟება და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა.		50000	50000

14	ე.წ. მწვანე ბუფერული ზონის შექმნის პროექტის შემუშავება ძველი რუსთავის დასახლებულ ზონასა და სამრეწველო ზონას შორის	**14.1**	მომზადებულია ძველი რუსთავში მწვანე ბუფერული ზონის შექმნის პროექტი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა		4000	0
15	ქ. რუსთავში პარკებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია	**15.1**	ქ. რუსთავში მოწყობილი/რეაბილიტირებული სულ მცირე 3 პარკი/სკვერი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა		1500000	0
16	ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება	**16.1**	განთავსებული ახალი ავტომატური სადგური სოფელ თაზაქენდში	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	2026 წლის IV კვარტ.	განხორციელდა	100%	საანგარიშო პერიოდში სოფელ თაზაქენდში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურის განთავსებისთვის მოძიებული ადგილი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს კუთვნილებაში გადმოეცა, UNDP-ს მიერ სადგურების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, სოფელ თაზაქენდში განათავსა სადგური, რომელიც ამოქმედდა და მიმდინარეობს მისი პორტალთან ინტეგრირებისა და ფუნქციონირების შესაბამისი ტექნიკური პროცედურები, ამიტომ		370974	370598

								პორტალზე სადგურის სტატუსი მითითებულია როგორც „მუშაობს სატესტო რეჟიმში“.			
17	ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობის გაზრდა	**17.1**	სოფელ თაზაქენდში განთავსებული ახალი გრავიმეტრული ხელსაწყო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	2026 წლის IV კვარტ.	განხორციელდა	100%	სოფელ თაზაქენდში განთავსებულ სადგურზე დამონტაჟებულია გრავიმეტრული ხელსაწყო.		110933	110702
18	ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარების მიზნით დონორული დაფინანსების მოძიება	**18.1**	მომზადებულია შესაბამისი პროექტის განაცხადი	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის განხორციელება არ მომხდარა		10000	0
19	გარემოსდაცვითი, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება ქ. რუსთავში	**19.1**	ჩატარებული სულ მცირე 2 ღონისძიება	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2026 წლის IV კვარტ.	არ დაწყებულა	0%	აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი